

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით შექმნილი
სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი №1

21 ნოემბერი, 2016 წელი
ქ. ზუგდიდი (ჯანაშიას ქ. №14)

სხდომას ესწრებოდნენ

ზაალ ქორთუა – კომისიის თავმჯდომარე, სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
ბეჟან აკობია – კომისიის წევრი, სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი.
ნაზიბროლა ბარამია – კომისიის წევრი, სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსი.
რონა პერტია – კომისიის წევრი, სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიული განყოფილების უფროსი.

სხდომის დღის წესრიგი

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში მიღებული სახსრებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მზარეულის პრაქტიკული სწავლებისათვის სხვადასხვა სამზარეულო აღჭურვილობის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით ელექტრონული ტენდერის ჩატარების განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ.





მოისმინეს: სატენდერო კომისიის თავმჯდომარის ზ. ქორთუას მოკლე ინფორმაცია სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით და წარმოადგინა ტენდერის ჩატარების განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია.

სხდომის მსვლელობა: სატენდერო კომისიამ განიხილა სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტები. დაადგინა ტექნიკური დავალების მონაცემები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ხელშეკრულების პირობები და პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი სატენდერო წინადადების ფორმები. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 8441,65 ლარით.

კომისიამ გადაწყვიტა: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად დამტკიცდეს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში მიღებული სახსრებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მზარეულის პრაქტიკული სწავლებისათვის სხვადასხვა სამზარეულო აღჭურვილობის შესყიდვაზე წარმოდგენილი განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია.

დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს: უზრუნველყოს ტენდერის ჩატარების თაობაზე განცხადების განთავსება და სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).

კომისიის წევრები:

1.  ზ. ქორთუა (თავმჯდომარე).
2.  ბ. აკობია.
3.  ნ. ბარამია.
4.  რ. პერტია.